გიორგი გოგსაძე •

# პოპულიზმი და დემოკრატია

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია პოპულიზმის მიმართება დემოკრატიასთან. კერძოდ, თუ რა გავლენა აქვთ პოპულისტ აქტორებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და კონსტიტუციებზე. პოპულიზმის ცნების ბუნდოვანების გამო, წარმოდგენილია განსხვავებული მიდგომები თუ როგორ შეისწავლიან ამ ფენომენს. პოპულიზმი გაგებულია, როგორც ვიწროდ განსაზღვრული იდეოლოგია.

პოპულისტებს პრეტენზია აქვთ, რომ ისინი „ნამდვილ და უმწიკვლო ხალხს“ წარმოადგენენ და შესაბამისად, ისინი ოპონენტებს მტრებად და კორუმპირებულებად განიხილავენ. საკუთარი ძალაუფლების გაზრდა ლიბერალური კონსტიტუციონალიზმისა და ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმების პრინციპების ცვლილებებით და გაუქმებით ხდება, რაც მათი აზრით, სახალხო სუვერენიტეტს ზღუდავს.

პოპულიზმს შეუძლია გაზარდოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა და აქტივობა არჩევნებში, მანამდე მარგინალური ჯგუფების ჩართვით ელექტორალურ პროცესებში. მიუხედავად ამისა, პოპულისტების მმართველობის კონკრეტული შემთხვევები უნგრეთში, ფილიპინებში და სხვა ქვეყნებში დემოკრატიული ინდიკატორების (როგორიცაა ფუნდამენტური უფლებები და ხელისუფლების კონტროლის შემცირება) აღინიშნა. ეს ყოველივე აჩვენებს, რომ პოპულიზმი, ძირითადად, უარყოფით გავლენას ახდენს დემოკრატიაზე.

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

**საკვანძო სიტყვები:** პოპულიზმი, დემოკრატია, კონსტიტუციონალიზმი.

## შესავალი

21-ე საუკუნე პოპულიზმის და პოპულისტური პარტიების/მოძრაობების გაძლიერებით აღინიშნა. პოპულისტური პარტიების მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა. ეროვნულ არჩევნებში, განსაკუთრებით ულტრამემარჯვენე და გარკვეულწილად ულტრამემარცხენე პარტიებმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვეს. ზოგიერთ ქვეყანაში მათ ხელისუფლების სათავეში მოსვლაც მოახერხეს (მაგ: უნგრეთი, პოლონეთი, აშშ, ვენესუელა, ფილიპინები და ა.შ.). აღნიშნულმა მოვლენამ დიდი ყურადღება მიიპყრო როგორც მედია სივრცესა და ასევე აკადემიურ წრეებში.[1] მკვლევრების განსხვავებული პოზიციები ამ ფენომენის მიმართ, თუ რა მიმართება აქვს და რა გავლენას ახდენს ის დემოკრატიაზე, მნიშვნელოვანი დისკუსიის საგანი გახდა. სტატიაში განხილულია სხვადასხვა მიდგომები პოპულიზმის ცნების შესწავლასთან მიმართებით, გამომდინარე იქედან, რომ პოპულიზმი საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და აუცილებელია სიცხადე იქნას შეტანილი მის არსში, რას წარმოადგენს ეს ფენომენი და როგორ შეიძლება იქნას გაგებული. სტატიას აქვს ესეს ფორმა, სადაც განხილულია მეორადი ლიტერატურა, კერძოდ პოპულიზმის ცნობილი მკვლევრების პოზიციები პოპულიზმის ფენომენის მიმართ; რა ურთიერთმიმართება არსებობს პოპულიზმსა და დემოკრატიას შორის, რა დამოკიდებულება აქვს პოპულიზმს და პოპულისტ აქტორებს კონსტიტუციებთან დაკავშირებით? არის თუ არა პოპულიზმი საფრთხე დემოკრატიისთვის და შეუძლია თუ არა მას დემოკრატიის ნაკლის გამოასწორება? კონ-

[1] აღსანიშნავია, რომ 2010-იან წლებში, Webscience data base-ში დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა იმ კვლევების რაოდენობა, რომლებიც სათაურში ან აბსტრაქტში „პოპულიზმს“ საკვანძო სიტყვად (keyword) შეიცავს (Brown & Mondon, 2020, 1-2).

კრეტული მაგალითები აჩვენებს, რომ პოპულიზმს აქვს დადებითი ასპექტები, მაგრამ ძირითადად ის საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიისთვის და დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის, განსაკუთრებით არაკონსოლიდირებულ დემოკრატიებში.

**პოპულიზმის კონცეპტუალიზაცია და მიდგომები**

პოპულიზმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა („populus“) და „ხალხს“ ნიშნავს. პოპულიზმის ყველაზე გავრცელებულ ინტერპრეტაციებს შორის გვხვდება, რომ ის არის ემოციური და გამარტივებული დისკურსი, რომელიც მიმართულია ხალხის „შინაგან გრძნობებზე“, მეორე ასოცირდება ხალხის/ამომრჩევლის სწრაფად სიამოვნების ოპორტუნისტულ პოლიტიკასთან. თუმცა აკადემიურ სივრცეში ორივე ფენომენი ჩვეულებრივად განიმარტება, შესაბამისად, როგორც დემაგოგია ან ოპორტუნიზმი (Mudde, 2004, 542-543). აკადემიურ სივრცეში პოპულიზმი განსხვავებულად ესმით. ვიწრო გაგებით: „პოპულისტური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ქმედებას ან იდეას, რომელიც რეაგირებს ხალხი/ელიტის განსხვავებაზე (cleavage)“ (Jakobson, 2012, 4-5).

პოპულიზმის შესწავლისას გამოყოფენ მის ყველაზე გავრცელებულ მიდგომებს, კერძოდ პოპულიზმი როგორც იდეოლოგია; სტილი, ანუ დისკურსი და პოლიტიკური სტრატეგია.

მუდესთვის, პოპულიზმი არის ვიწროდ განსაზღვრული იდეოლოგია („thin-centered” ideology), რომელიც საზოგადოებას ჰყოფს ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფად. მის ცენტრში არის დაპირისპირება „უბრალო ხალხსა“ და „კორუმპირებულ ელიტას“ შორის და რომ პოლიტიკა უნდა ასახავდეს უმრავლესობის ნებას. ვიწროდ განსაზღვრული იდეოლოგია გულისხმობს, რომ პოპულიზმი განყენებულად არ არსებობს და დაკავშირებულია სხვა იდეოლოგიებთან, როგორიც არის სოციალიზმი, ნაციონალიზმი და ა.შ. (Bonikowski & Gidron, 2016, 8).

ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, იდეოლოგიური მიდგომა, უფრო ფართო იდეაციური მიდგომის ნაწილია, რომელიც პოპუ-

ლიზმს განიხილავს, როგორც იდეების ერთობლიობას. ამავდროულად, მისი მიმდევარი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ პოპულიზმი იდეების თვისობრივად განსხვავებულ ტიპია და განსხვავდება კლასიკური იდეოლოგიებისგან იმით, რომ პოპულიზმი არ არის შეგნებულად არტიკულირებული და მწირია პროგრამული ჩარჩოებით; მას სჭირდება სხვა იდეებით შევსება, რომ იმსჯელოს რეალურ პოლიტიკურ საკითხებზე. აქედან გამომდინარე, პოპულიზმი დაკავშირებულია ტრადიციულ იდეოლოგიებთან, რაც წარმოქმნის ქვეტიპებს, როგორიცაა მემარცხენე/ინკლუზიური და მემარჯვენე/ექსკლუზიური[2] (Hawkins 2019, 109).

მუდეს განსაზღვრება მოიცავს ოთხ „ძირითად ცნებას“, რომლებიც არის პოპულისტური იდეოლოგიის ცენტრალური შემადგენელი, კერძოდ: იდეოლოგია, ხალხი, ელიტა და საყოველთაო ნება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პოპულისტური განხეთქილების (დაყოფის) არსი მორალია. თუ სოციალიზმის შემთხვევაში ხალხსა და ელიტას შორის დაპირისპირება კლასის ცნებას ეფუძნება[3], ხოლო ნაციონალიზმის შემთხვევაში - ერს, პოპულიზმის შემ-

[2] მემარცხენე პოპულისტური პარტიები ასოცირებულნი არიან დემოკრატიულ, სოციალისტურ, იდეოლოგიურ ფუძესთან, რომელსაც ახასიათებს ნაკლები დოქტრინალიზმი და უფრო ეკლექტურია (March, 2017). მემარცხენე პოპულიზმი, მემარჯვენე პოპულიზმთან შედარებით, უფრო ნაკლებად მოიცავს ექსკლუზიონიზმს და ძირითადად, ფინანსური ელიტის წინააღმდეგ არის მიმართული. მემარჯვენე პოპულიზმისთვის მნიშვნელოვანია წარმომავლობა, ნატივიზმი და ანტიპლურალიზმი. ის ხშირად „შოვინისტურ კეთილდღეობაზე“ ამახვილებს ყურადღებას (Lancaster University, 2018). რადგან ეს უკანასკნელი ეთნიკურ იდენტობებს ეფუძნება, ის ნაციონალისტურ-პოპულიზმად მიიჩნევა.

[3] პოპულიზმის მთავარი განმასხვავებელი (ადრეული) სოციალიზმისგან (რომელთაც სურდათ მუშათა განათლება, რომ გაენთავისუფლებინათ ისინი ყალბი ცნობიერებისგან), არის ის, რომ მათ არ სურთ შეცალონ „ჩაგრული ხალხის“ ღირებულებები ან მათი „ცხოვრების

თხვევაში ეს ოპოზიცია მორალის ცნებაზე არის დაფუძნებული. ხალხის ავთენტურობა და უმანკოება მორალით განისაზღვრება (და არა რასით ან ეთნიკური ნიშნით).[4] მართებული რამის გაკეთება ნიშნავს სრულიად ხალისთვის კარგის გაკეთებას, რაც შესაძლებელია, რადგან პოპულიზმი „ხალხს“ განიხილავს, როგორც ჰომოგენურ კატეგორიას (Mudde, 2017, 48-49). მუდეს (2004, 544) თანახმად, პოპულიზმი წარმოგვიდგენს მანიქეურ შეხედულებას, რომელშიც მხოლოდ მეგობრები და მტრები არიან.

ერთ-ერთი მიდგომა, პოპულიზმს განმარტავს როგორც დისკურსს სხვადასხვა პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, სადაც ყურადღება ეთმობა პარტიათა მანიფესტებსა და ლიდერთა გამოსვლებში გამოხატულ პოპულისტურ ნარატივებს (დისკურსის ანალიზს). ამ მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ლაკლაუს[5] თეორიულ ნაშრომებს და შემდგომი „ესექსის სკოლის“ დისკურსის ანალიზს (მუფი, სტავრაკაკისი, ჰორვატი და სხვები) უკავშირდება. მის თანახმად, პოპულიზმი არის ანტი-სტატუს კვო დისკურსი, რომელიც ამარტივებს პოლიტიკურ სივრცეს საზოგადოების ორად დაყოფით, სადაც ერთის მხრივ, არის „ხალხი“ (როგორც დაჩაგრული) და მეორეს მხრივ, არიან „სხვები“ (Moffitt & Tormey, 2013, 5-6).

ლაკლაუსთვის სიმბოლური განსხვავება „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის რომელიც პოპულისტური დისკურსის შემადგენელი ნაწი-

---

წესი“ (მიზანი ხალხის სტატუსის შეცვლაა პოლიტიკურ სისტემაში) (Mudde, 2004, 547).

[4] მუდეს თანახმად, ელიტის დაგმობის მიზეზი მორალურია და არა ეთნიკური. გამონაკლისს წარმოადგენს ლათინურ ამერიკული ეთნოპოპულიზმი. სადაც სრულად გაერთიანებულია ნატივიზმი და პოპულიზმი. კერძოდ, ბოლივიაში, პრეზიდენტი ევო მორალესი, რომელიც რეგულარულად უპირისპირებდა ადგილობრივ უმწიკვლო ხალხს კორუმპირებულ ელიტას (Mudde, 2017, 53).

[5] მკვლევარი პოსტ-მარქისისტულ თეორიას ანვითარებს, რომელიც მემარცხენე პოპულიზმს ერგება.

ლია, წარმოადგენს ცარიელ აღმნიშვნელს (კონკრეტული მნიშვნელობის არმქონე ტერმინს) ("empty signifiers") შემთხვევას, რომელსაც შეუძლია მიიღოს მრავალი მნიშვნელობა სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე (ანუ მას რეალური შინაარსი არ აქვს)[6] (Gidron & Bonikowski, 2013, 10). პოპულიზმი გულისხმობს „სოციალური ველის ანტაგონისტურ და დიქოტომიურ დაყოფას", სადაც კონკრეტული იდენტობები ახდენენ გადაჯგუფებას დიქოტომიური ველის ერთ-ერთ მხარეს. პოპულიზმის ლოგიკა ცდილობს კონტრ-ჰეგემონიის კონსტუქციას, იმისთვის რომ ჩაანაცვლოს არსებული ელიტა (Roberts, 2017). ამ მიდგომას აკრიტიკებენ, რადგან პოპულიზმი გაიგივებულია დუალისტური რიტორიკის ყველა ფორმასთან (Gidron & Bonikowski, 2013).

იდეაციურ მიდგომასა და ესექსის სკოლის მიდგომები ემთხვევა პოპულიზმის კონცეპტუალიზაციის დროს. ორივე პოპულიზმს თითქმის მთლიანად იდეების სფეროში მოიაზრებს და იყენებს მსგავს ტერმინებს მისი შინაარსის იდენტიფიცირებისთვის (მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი პოპულიზმს მოიხსენიებს, როგორც დისკურსს ან დისკურსულ ჩარჩოს). თუმცა იდეაციური მიდგომა უფრო ნაკლებად ნორმატიულია, ხოლო ესექსის სკოლა პოპულიზმს უფრო მეტად დადებითად მიიჩნევს დემოკრატიისთვის (Hawkins, 2019, 117).

კიდევ ერთი მიდგომის თანახმად, პოპულიზმი მნიშვნელოვანწილად ოპორტუნიზმთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერების მიერ მხარდაჭერის მობილიზების

[6] ლაკლაუ (2005, 39) აღნიშნავს, რომ არ არსებობს პოპულიზმი მტრის დისკურსული კონსტრუქციის გარეშე. მტერი შეიძლება იყოს ძველი რეჟიმი, ოლიგარქია, ელიტა ან სხვა. ამასთან ერთად, პოპულისტები, ელიტებისგან განსხვავებულობას უსვამენ ხაზს (Moffitt & Tormey, 2013, 11). შესაბამისად, მთავარი შეკითხვა მდგომარეობს იმაში თუ რა დოზით არის გარკვეული მოძრაობა პოპულისტური და არა იმას. არის თუ არა ესა თუ ის მოძრაობა/პარტია პოპულისტური? (Gidron & Bonikowski, 2013).

მიზნით შერჩეულ პოლიტიკურ სტრატეგიას. ამ შემთხვევაში, პერსონალისტური ლიდერი დიდი რაოდენობის არაორგანიზებული მომხრეების არამედიაციური და არაინსტიტუციონალიზირებული მხარდაჭერის საფუძველზე ცდილობს ხელისუფლების მოპოვებასა და განხორციელებას (Bonikowski & Gidron, 2016, 8).

იდეაციური მიდგომა იზიარებს სტრატეგიული მიდგომის პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას და ანალიზის მეშვეობით მონაცემების საფუძველზე განზოგადებულ ახსნაზე არის ორიენტირებული. გარდა ამისა, ორივე მიდგომა პოპულიზმს უფრო მეტად საფრთხედ მიიჩნევს ლიბერალური დემოკრატიისთვის, თუმცა იდეური მიდგომა მას ასევე პოტენციურ მაკორექტირებლად განიხილავს. სტრატეგიული მიდგომა აღიარებს იდეების როლს (პოპულიზმის, როგორც ანტი-ისტებლიშმეტნურ და პრო-ხალხურ რიტორიკას) და მას იდეაციურ მიდგომის კონცეპტუალიზაციასთან საკმაოდ დიდი გადაფარვა გააჩნია (Hawkins, 2019, 119).

## პოპულიზმის გავლენა ლიბერალურ-დემოკრატიაზე

ერთ-ერთი მთავარი შეკითხვა რაც პოპულიზმის აღზევებას თან ახლავს, შემდეგში მდგომარეობს: რა გავლენას ახდენს და არის თუ არა ის საფრთხე დემოკრატიისთვის და რატომ? შეაქვს თუ არა მას პოზიტიური ცვლილებები დემოკრატიულ პროცესებში?

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით. ლიბერალური დემოკრატია მოიცავს პოპულარულ დემოკრატიისა და ლიბერალური ელიტიზმის რთულ კომპრომისს. თავის მხრივ, პოპულიზმი ეწინააღმდეგება კონსტიტუციური დემოკრატიის იდეებსა და ინსტიტუტებს (Mudde 2004, 561). პაპასი აყალიბებს პოპულიზმის მინიმალისტურ დეფინიციას, რომელსაც თანამედროვე პოპულიზმი ესმის, როგორც დემოკრატიული ალიბერალიზმი (democratic illiberalism). ეს ორი ტერმინი შეიძლება დღესდღეობით სინონიმებებად მივიჩნიოთ; თუ თანამედროვე პოპულიზმს დიქოტომიურად აღვიქვამთ, მაშინ ის ყოველთვის დემოკრატიულია მაგრამ, არასოდესაა ლიბერალური (Pappas, 2016).

იგი მიიჩნევს, რომ პოპულიზმი დემოკრატიის პათოლოგიაა და არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ის კარგი ყოფილიყოს დემოკრატიისთვის (Hungarian Europe Society, 2015).

მიულერის (2017) თანახმად, პოპულიზმი ანტი-პლურასტულია, ხოლო დემოკრატიის შენარჩუნება მრავალფეროვნების გარეშე შეუძლებელია. ისინი აცხადებენ, რომ მხოლოდ თვითონ წარმოადგენენ „ხალხს“, ხოლო ყველა სხვა კორუმპირებულია. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური აქტორი აცხადებს ე.წ. „პრეტენზიას წარმომადგენლობითობაზე“, დემოკრატიული პოლიტიკოსები, პოპულისტებისგან განსხვავებით, ასეთ განცხადებებს ჰიპოთეზის ფორმით აკეთებენ, რომ ისინი ხალხის წარმომადგენლები არიან, რაც თუნდაც არჩევნების შედეგების საფუძველზე შეიძლება ემპირიულად უარყოფილ იქნას. მათგან განსხვავებით პოპულისტების განცხადებები წარმომადგენლობით პრეტენზიებთან დაკავშირებით, მორალური და არა ემპირიული ხასიათისაა რომლის უარყოფა შეუძლებელია (Muller, 2017, 751).

პოპულისტებს ესმით უმრავლესობა, როგორც კოლექტიური, უნიტარული ერთეული და არა ლიბერალიზმის შესაბამისად, როგორც ინდივიდების არითმეტიკული ჯამი (აგრეგაცია) და უარყოფენ პოლიტიკურ უმცირესობებებსა და ოპოზიციას (Bloker, 2019, 191). შესაბამისად, მათთვის ასევე, მისაღებია იმის თქმა, რომ ხალხის ხმა (vox populi) არის ერთი - და რომ ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმები ხელს უშლის ჰომოგენური ხალხის ნების წარმოჩენას; ხალხის ნების გამოხატვა უნდა ხდებოდეს არაშუამავლური ურთიერთობების გაძლიერებით ლიდერსა და ხალხს შორის (მათ შორის, პლებისციტების მეშვეობით) (Muller, 2017, 754-755).

კონსტიტუციონალიზმთან დაკავშირებით, პოპულისტებს მიაჩნიათ, რომ ლიბერალურ, კონსტიტუციურ რეჟიმებში სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი არასაკმარისად არის გარანტირებული (Bloker, 2019, 190). შესაბამისად, კონსტიტუციები გაგებულია როგორც სახალხო ნების მექანიზმები და არა როგორც ამ ნების მნიშვნელოვანი შემზღუდავი (Bloker, 2019, 208). პოპულისტები იზიარე-

ბენ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციური სამართალი ვერ იქნება რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკისგან. კონსტიტუციები პოლიტიკური ინსტრუმენტია და მათ ასევე უნდა ასახონ ხალხის შეხედულებები და ღირებულებები (Bloker, 2019, 199). პოპულისტები ცდილობენ საკუთარი მმართველობა კონსტიტუციების მეშვეობით გაიმყარონ. მათ მიერ შექმნილ კონსტიტუციებში (მათ შორის, ლათინური ამერიკის ქვეყნების) საკმარისად უზრუნველყოფილი არ არის სიტყვის და შეკრების თავისუფლება (Muller, 2017).[7] ხშირად ხდება კონსტიტუციის გადასინჯვა პოლიტიკური უმრავლესობის საჭიროების შესაბამისად, რომლის მაგალითადაც უნგრეთის ფუნდამენტური კანონი გამოდგება, რომელიც 2012 წელს მიღების შემდეგ მრავალჯერ შეიცვალა (Bloker, 2019, 206).

ვეილანდის[8] თანახმად, პოპულიზმის ძირითადი მახასიათებელი მისი სუსტი ინსტიტუციონალიზაციაა. პოპულისტი ლიდერები თავიანთ მხარდამჭერებს არაორგანიზებული გზით უკავშირდებიან (მათ შორის, ელექტრონული მედიით). მათ არ გააჩნიათ ორგანიზაციული დისციპლინა და შეკავშირება (ორგანიზაციული მმართველობის არქონას, ისინი ე.წ კვაზი-პირდაპირი კავშირების გაძლიერებით ცდილობენ). შესაბამისად, ცვლილებების განხორციელებისთვის ეს ლიდერები არა როგორც ორგანიზაციული ფუნქციონერები, არამედ ტრანსგრესიული გმირებივით იქცევიან (საკუთარ

[7] ლათინურ ამერიკაში ახალი კონსტიტუციები შეიქმნა არჩეული დამფუძნებელი ასამბლეების მიერ და საბოლოოდ დაექვემდებარა სახალხო კენჭისყრას. აღნიშნული დამფუძნებელი „სახალხო ნება“ ჩამოყალიბდა პოპულისტი ლიდერების მიერ. კერძოდ, ჰუგო ჩავესი აკონტროლებდა „მისი“ დამფუძნებელი ასამბლეის არჩევის მეთოდს და უზრუნველყოფდა, რომ მისი პარტიის 60 პროცენტიანი უმრავლესობა არჩევნებზე დამფუძნებელ კრებაში ადგილების 90 პროცენტზე მეტში აისახა. პოპულისტურ კონსტიტუციონალიზმს დემოკრატიისთვის სახიფათოდ ის ფაქტი ქმნის, რომ მხოლოდ ხალხის ნაწილი არის მიჩნეული ნამდვილ ხალხად (Muller, 2017, 756-757).

[8] ვეილანდი პოპულიზმის როგორც სტრატეგიის მიდგომას ემხრობა.

შესაძლებლობებსა და ქარიზმაზე ამახვილებენ ყურადღებას), რომლებიც პოლიტიკას კეთილსა და ბოროტს შორის დაპირისპირებად წარმოადგენენ. ეს დაპირისპირება ამართლებს ფორმალური პროცედურების დარღვევასაც, რასაც ხალხის ნების განხორციელება მოითხოვს (Weyland, 2019, 504-505).

მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და გასამტკიცებლად, პოპულისტი პოლიტიკოსები დაუნდობელ თავდასხმებს მიმართავენ „პოლიტიკური კლასის“ წინააღმდეგ და ცდილობენ მათ განდევნას ან პოლიტიკურად განადგურებას. თანამდებობაზე ყოფნისას ისინი მიმართავენ პოლარიზაციას და კონფრონტაციას. ხდება დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდვა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უგულებელყოფა. ეს ყოველივე უფლება შეზღუდულ ოპონენტებს მათ წინააღმდეგ არადემოკრატიული და ექსტრაკონსტიტუციური მექანიზმების გამოყენებისკენ უბიძგებს (Weyland, 2019). პოპულისტი ლიდერების ავტორიტარული მიდრეკილებების მაგალითად, ვეილანდს (2019, 503-504), ესპანეთში (მემარცხენე პარტიის) პოდემოსის, ვენესუელას, უნგრეთის, თურქეთის და ტაილანდის შემთხვევები მიაჩნია.

სტრატეგიული მიდგომა რაციონალისტური პერსპექტივიდან გამომდინარე, უპირატესობას ანიჭებს ინტერესებისა და ინსტიტუტების ზემოქმედებას. ეს რაციონალისტური ლოგიკა ყველაზე აშკარაა დემოკრატიაზე პოპულიზმის უარყოფითი შედეგების შემთხვევაში (პოპულისტ პოლიტიკოსებს უბრალოდ სურთ თავიანთი ხმების მაქსიმალურად გაზრდა). პოპულისტების მომხრეები მზად არიან მათ ლიდერთან (რომელიც ხშირად ქარიზმატულია და აუთსაიდერია) შუამავლების გარეშე ჰქონდეთ კავშირი და გადასცენ მათ დიდი ძალაუფლება. ეს ყველაფერი ზიანს აყენებს ლიბერა-

ლურ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რაც პოპულისტურ ლიდერების ინტერესს ემსახურება[9] (Hawkins, 2019, 120).

როგორც ზემოთ აღინიშნა პოპულიზმსა და დემოკრატიის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობს ლაკლაუ. კერძოდ, პოპულიზმი არ არის ასოცირებული ავტორიტარიზმთან, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიებს საფრთხეს უქმნის. პოპულიზმი პოლიტიკაში ნორმატიულად სასურველია, ხოლო წარმომადგენლობითი დემოკრატია (და მისი შუამავალი სტრუქტურები და პროცედურები) დეპოლიტიზირებასა და პოლიტიკურის შემოქმედებითი ძალის ნეიტრალიზაციას ახდენს [10] (Peruzzoti, 2019, 67). პოპულიზმის ლოგიკა იდენტიფიკაციაა, ხოლო დემოკრატიის უმთავრესი ქმედება ხალხის კონსტრუქცია არ საჭიროებს ინსტიტუციურ შუამავლობას.[11] იმისთვის, რომ მოხდეს „ხალხის“ კონსტრუირება, მაშინ საჭიროა სოციალურ წესრიგში რაღაცის დაშლა, რათა ჩამოყალიბდეს ანტაგონიზმი და გაჩნდეს ახალი დისტანცია მათ და კონ-

[9] ამისგან განსხვავებით, იდეაციური მიდგომისთვის პოპულიზმის ნეგატიური (და პოზიტიური) შედეგები პირდაპირ პოპულისტური იდეებიდან მომდინარეობს.

[10] პოპულიზმი გამოხატავს კონკრეტულ პოლიტიკურ რაციონალიზმს. მისთვის ყოველივე პოლიტიკური პოპულისტურია.

[11] წარმომადგენლობით დემოკრატიაში მოთხოვნების ფორმულირება და განხილვა ინდივიდუალურად და იზოლირებულად ხდება. მათი წარმატებით გამკლავების შემთხვევაში „ხალხი“, როგორც ისტორიული აქტორი იშლება. ლაკლაუს პოლიტიკის მოდელი საბოლოო ჯამში მტრულია ინსტიტუციონალიზაციის ნებისმიერი ფორმის მიმართ. კერძოდ, ყველა ინსტიტუციური წესრიგი ყოველგვარი ნორმატიულ შინაარსს არის მოკლებული. ინსტიტუტები ასახავს ძალაუფლების ურთიერთობის განსაკუთრებულ წონასწორობას, რომელიც ჰეგემონურ წესრიგში კრისტალიზდა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საკითხი კონკრეტული ინსტიტუციური მოწყობის ხარისხსა და პოტენციალთან დაკავშირებით უმნიშვნელოა (Peruzzoti, 2019, 77).

კრეტული სოციალური ჯგუფების მოთხოვნებს შორის (Peruzzoti, 2019).

პერუცოტი (2019, 80) აკრიტიკებს ლაკლაუს თეორიას და აღნიშნავს, რომ თუ არგენტინის პრეზიდენტებმა ნესტორ კირჩნერმა (2003-2007) და კრისტინა კირჩნერმა (2007-2015) შეძლეს და ახორციელებდნენ ძალიან პროგრესულ პოლიტიკურ დღის წესრიგს, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუციური ჩარჩოს ძირეულად შეცვლის გარეშე, მაშინ ლაკლაუ აღიარებს, რომ წარმომადგენლობით მოწყობას შეიძლება ჰქონდეს ტრანსფორმაციული პოტენციალი, რომელსაც მისი თეორია უგულებელყოფს. შესაბამისად, პოპულიზმი ნაკლებად ეფექტურია, სადაც პოლიტიკური სისტემა მნიშვნელოვნად განვითარებულია. პოპულიზმი იქცევა სტრატეგიად და ის არ იქნება ეფექტური კულტურულად მრავალფეროვან და ინსტიტუციურად მჭიდრო საზოგადოებებში (Peruzzoti, 2019, 80).

პოპულიზმის პოზიტიურ ასპექტებს შორის, ზოგიერთი მკვლევარი იმედოვნებს, რომ პერსონალისტი, პოპულისტური ლიდერების და პარტიების მიერ განხორციელებული მასობრივი მობილიზაცია გამოიწვევს უკმაყოფილო მოქალაქეების ჩართვას და შესაბამისად, მომავალში პოლიტიკური პარტიები უფრო ერთგულად იმოქმედებენ, როგორც ხალხის წარმომადგენლები (Weyland, 2019, 498). ერთ-ერთი კვლევის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპაში პოპულისტური პარტიების ყოფნა პარლამენტში არჩევნებზე დასწრებას ზრდის, (თუმცა დასავლეთ ევროპაში პოპულისტური პარტიების ყოფნას მსგავსი ეფექტი არ აქვს) (Leininger and Meijers, 2021, 681).

ამის მიუხედავად, პრაქტიკაში, ავტორიტარული პოპულიზმის [12] პოზიტიურ ასპექტებს თითქმის არ მოჰყვება დემოკრატი-

[12] ავტორიტარულ პოპულიზმი, როგორც ანალიტიკური კატეგორია, მოიცავს როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე პოპულიზმს, შეიცავს სამ მახასიათებელს: (ა) ხალხი ელიტის წინააღმდეგ, (ბ) უმრავლესობის

ზაცია (Gricius, 2022, 178-179). მემარცხენე პოპულიზმი უფრო ინ-კლუზიურია, შესაბამისად, დღეს მემარცხენე პოპულისტები კამპა-ნიას ატარებენ პირდაპირი დემოკრატიული დაპირებებით და აყა-ლიბებენ მონაწილეობრივ ინსტიტუტებს, ისინი ეფექტურად აძლი-ერებენ მოქალაქეებს ადგილობრივ დონეზე, მაგალითად, თემის საბჭოების მეშვეობით. ამავდროულად, ეროვნულ დონეზე, ისინი მონაწილეობით ინსტიტუციებს მხოლოდ ისე იყენებენ, როგორც მათ ოპორტუნისტულ პოლიტიკურ საჭიროებებს შეესაბამება (Weyland, 2019, 518).

გრიკუსის (2022, 182) თანახმად, პოპულისტი ლიდერების მმართველობის პირობებში მოხდა დემოკრატიული უკუსვლა უნ-გრეთში, ფილიპინებსა და აშშ-ში. ორბანის მმართველობამ[13] დე-მოკრატიული მაჩვენებლები გააუარესა, რასაც მრავალფეროვნების ინდექსის (V-DEM) და IDEA-ს დემოკრატიის გლობალური მდგო-მარეობის ინდექსები ადასტურებს (Gricius, 2022, 182).

ფილიპინებში, პრეზიდენტი, დუტერტე მიმართავდა სხვადა-სხვა პოლიტიკურ ინსტრუმენტებს განსხვავებული აზრის გასაჩუ-მებლად. მისი ქმედებები, ისევე როგორც კოლექტიური უსაფრთხო-ებისკენ მიდრეკილება და ჯგუფური აზროვნება, მის ხელმძღვანე-ლობას ავტორიტარულ პოპულისტურად აქცევდა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გაიზარდა, თუმცა შემცირდა სხვა ინდიკატორები, როგორიცაა ფუნდამენტური უფ-ლებები და ხელისუფლების კონტროლი, რაც ვითარების გაუარესე-ბაზე მეტყველებს[14] (Gricius, 2022, 185).

---

მმართველობა დაბრკოლების გარეშე და (გ) სახელმწიფო უფრო ძლიერი კუნთებით (Gricius, 2022, 179).

[13] უფრო დაწვრილებით იხილეთ, Democracy Index of Hungary from 2006 to 2022. Statista: https://www.statista.com/statistics/1380570/democracy-index-hungary/

[14] უფრო დაწვრილებით იხილეთ, Our world in Data. Democracy Index. Philippines: https://tinyurl.com/4ck6sdna

აშშ-ში ტრამპის ქმედებები ახალისებდა ჯგუფურ აზროვნებას გარე ჯგუფების წინააღმდეგ. ის აჯილდოებდა და ასევე მოელოდა ერთგულებას თავისი მხარდამჭერებისგან. მისი პრეზიდენტობის პირობებში დემოკრატიის მაჩვენებლები შემცირდა,[15] თუმცა ტრამპის პოპულისტურ ხელმძღვანელობას არ ჰქონია მოსალოდნელი მძიმე შედეგები. ამასთან ერთად, ამერიკის მთავრობამ მოახერხა გარკვეული პროგრესული პოლიტიკის გატარება (მაგ., გადასახადების შემცირება). გრიკუსის (2022, 191) თქმით, თუ პოპულისტი ლიდერები ატარებენ პროგრესულ პოლიტიკას, მაშინ ის მხოლოდ იმ მიზნით ტარდება, რომ სარგებელი მოუტანოს ავტორიტარულ პოპულისტ ლიდერების მიზნებსა და ამოცანებს. ასეთ შემთხვევებში, სავარაუდოდ, დემოკრატიული სისტემის ტიპი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს (როგორც აშშ-ს მაგალითი აჩვენებს) და სისტემა ძირითადად უცვლელი რჩება.

[15] თუმცა აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული მაჩვენებლები, სხვა პრეზიდენტების მართველობის პირობებშიც უარესდებოდა. უფრო დაწვრილებით იხილეთ, Democracy Index of the United States from 2006 to 2022. Statista: https://www.statista.com/statistics/1380625/democracy-index-united-states/

**დასკვნა**

პოპულისტებს მიაჩნიათ, რომ ისინი წარმოადგენენ რეალურ ხალხს და მათი მხრიდან, ადგილი აქვს პოლიტიკის მორალიზაციას. ოპონენტების მტრებად აღქმა პოპულისტებს ავტორიტარული ნაბიჯებისკენ უბიძგებთ. ადგილი აქვს ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპების დარღვევას, რადგან პოპულისტების წარმოდგენით ის საკმარისად არ უზრუნველყოფს დემოკრატიის მთავარ პრინციპს, კერძოდ, სახალხო ნების გამოხატვას. მათ მიერ მიღებული კონსტიტუციები ლათინურ ამერიკაში, საკმარისად არ იცავდა სიტყვის და შეკრების თავისუფლებას.

ზოგიერთი მკვლევარი პოპულიზმს დადებით მოვლენად მიიჩნევს. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, ლაკლაუს თეორიას გამოწვევები გააჩნია და მის მიერ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება წარმომადგენლობით (ლიბერალურ) დემოკრატიაშიც განვითარდეს, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება შეკითხვები პოპულისტური სტრატეგიების ხარჯებსა და სარგებლებთან დაკავშირებით ალტერნატიულ სტრატეგიებთან შედარებით. ის არაეფექტურია მრავალფეროვან და ინსტიტუციურად განვითარებულ საზოგადოებებში.

პოპულიზმს შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი. ზოგიერთ შემთხვევაში, პოზიტიური ცვლილებები აღინიშნა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მხრივ და გადასახადების შემცირების კუთხით, მაგრამ ადგილი ჰქონდა სხვა ასპექტების გაუარესებას, რაც პოპულიზმის ნეგატიურ ეფექტზე მეტყველებს. ამ კუთხით, კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატიები და მისი დემოკრატიული ინსტიტუტები, უკეთ გაუმკლავდნენ პოპულისტურ გამოწვევებს.

პოპულიზმის დადებით მხარეებს შორის აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გაზარდოს აქტივობა არჩევნებში, რაც პარტიული კონკურენციის დინამიკას უსვამს ხაზს. ის, სავარაუდოდ, დაკავშირებულია კარგად ფუნქციონირებადი წარმომადგენლობით დემოკრატიასთან. ამის მიუხედავად, ცხადი არ არის, რომ პოპულისტური წარ-

მატების გამო არჩევნებზე აქტივობის გაზრდა ჯანსაღი დემოკრატიის სიგნალია. გაზრდილი მონაწილეობა, პოლიტიკურად იმედგაცრუებული და უკმაყოფილო ამომრჩევლის გამო, შესაძლოა ასევე მიუთითებდეს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, რაც ევროპის წარმომადგენლობითი დემოკრატიებს აქვთ (Leininger and Meijers, 2021, 681). თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ პოპულისტი ლიდერები და პარტიები მანამდე მარგინალური და უკმაყოფილო მოქალაქეების ჩართვას იწვევენ პოლიტიკაში (არჩევნებში); მაშინ მან შეიძლება, იმ პარტიების პოტენციური მხარდამჭერების გააქტიურება და არჩევნებზე მისვლა გამოიწვიოს, რომლებიც პოპულისტურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ პოპულიზმი, ძირითადად, გამოწვევას წარმოადგენს და მას უფრო მეტი უარყოფითი მოაქვს ვიდრე დადებითი დემოკრატიებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

Blokker, P. (2019). Populist Constitutionalism. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp.189-213). New York.

Bonikowski , B., & Gidron, N. (2016, December 26). Multiple Traditions in Populism Research: Toward a Synthetic Analysis. *APSA Comparative Politics Newsletter*.

Brown, K., & Mondon, A. (2020). Populism, the media and the mainstreaming of the far right: The Guardians's Coverage of populism as a case study. (Pp. 1-17).

Brubaker, R. (2017, October 26). Why Populism? *Theory and Society*(46), (Pp. 357-385). doi:https://doi.org/10.1007/s11186-017-9301-7

Democracy Index of Hungary from 2006 to 2022. Statista: Retrieved from: https://www.statista.com/statistics/1380570/democracy-index-hungary/

Democracy Index of the United States from 2006 to 2022. Statista: Retrieved from: https://www.statista.com/statistics/1380625/democracy-index-united-states/

Gidron, N., & Bonikowski, B. (2013). Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *The Weatherhead Center for International Affairs*(13-0004).

Gricius, G. (2022). Populism and Authoritarianism. The Palgrave Handbook of Populism. Michael Oswald Editor. (Pp. 177-194). Palgrave Macmillan.

Hawkins, K. (2019). The Ideational Approach. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp.104-127). New York.

Hungarian Europe Society. (2015, June, 2). Takis Pappas: Leftwing populism: a threat to liberal democracy? Illiberal Democracies – what can the European Union do in case a member state regularly and systematically breaches European values and regulation? Workshop. Retrieved from: https://www.youtube.com/watch?v=q4T9JrKLEqA

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

Laclau, E. (2005). Populism: What's in a Name? In F. Panizza, *Populism and Mirror of Democracy.* (Pp. 32-49). Verso.

Lancaster University. (2018, February). *The Politics of Fear: Charting the Rise of Populist Movements.* YouTube. Retrieved from: https://www.youtube.com/watch?v=VQJ1RRMEKxs

Leininger, A, & Meijers M, J. Do Populist Parties Increase Voter Turnout? Evidence From Over 40 Years of Electoral History in 31 European Democracies. Political Studies 2021, Vol. 69(3) (665–685). Sage. Retrieved from: https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0032321720923257

*Luke March on Left Populism*. (2017, July 24). Political Observer on Populism. Retrieved from: https://populismobserver.com/2017/07/24/interview-17-luke-march-on-left-populism/

Moffitt, B., & Tormey, S. (2013). Rethinking Populism: Politics, Mediatisation and Political Style. *Political Studies Association.* doi:doi: 10.1111/1467-9248.12032.

Mudde, C. (2004). The Populist Zeitgeist. *Government and Opposition*, Published by Blackwell Publishing, Oxford, USA. (Pp. 541-563).

Mudde, C. (2017). Populism: An Ideational Approach. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (Pp. 45-70). New York: Oxford University Press.

Muller, J.-W. (2017). Populism and Constitutionalism. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (Pp. 743-764). New York: Oxford University Press.

Our world in Data. Democracy Index. Philippines. Retrieved from: https://tinyurl.com/4ck6sdna

Pappas, T. S. (2016, March). Modern Populism: Research Advances, Conceptual and Methodological Pitfalls, and the Minimal Definition.

Peruzzoti, E. (2019). Laclau's Theory of populism: A critical review. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp. 66-82). New York.

Roberts, K. M. (2017). Populism and Political Parties. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 287-304). New York: Oxford University Press.

Weyland, K. (2019). Populism and Authoritarianism. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp. 497-520). New York.

**Giorgi Gogsadze**

## Populism and Democracy

**Abstract**

The article discusses the relationship between populism and democracy, the influence of populist actors on liberal-democratic institutions and constitutions. Due to the vagueness of the concept of populism, different approaches are presented on how this phenomenon is studied. Populism is understood as a thinly-defined ideology.

Populists claim to represent the "genuine and oridinary people" and therefore view their opponents as enemies and corrupt. They Increase their own power by amending and revoking the principles of liberal constitutionalism and mechanisms of checks and balances, which, in their opinion, limits popular sovereignty.

Populism can increase civil society participation and turnout in elections by involvement of previously marginalized groups in electoral processes. However, particular cases of populist rule in Hungary, the Philippines, and other countries has been marked by a decline in liberal-democratic indicators such as fundamental rights and control of the government. This indicates that populism mainly has a negative effect on liberal-democratic institutions and democracy.

**Key words:** Populism, democracy, constitutionalism.